სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 სექტემბერი 2004 №216 (2237) ფასი 50 თეთრი

გოლი! 4:3

ბუში ვისლამ და დინამო ერთმანეთის მოკეტრი თერაპია ჩაუტარეს

ჯიპ ჯეჯუჩაძე: სლავიასთანაც ზუსტად ამ დროს გავუშვით გოლები. ვეცდები, ალბ გავარკვიო, რა გვემართება

გაშვებული გოლების წუთები
ვრალაში სლავიასთან: 61, 64, 77
ტრაკოვში ვისლასთან: 60, 62, 64, 76

ჰენრიკ კასპერჩაკი:

პრესაში ბევრი კარგი დაიწერა დინამოზე. დღეს დავრწმუნდი, რომ დინამო მართლაც კლიერი გუნდია. 4:3 კალიან ტუდი ანგარიშია ჩვენთვის



ჩვენ ერთად უნდა მოვიგოთ!

უეფას თასი 2004-2005
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი ეატჩი

გადასარევი ტაიმი და გადასარევი ამბავი

დინამო რამდენიმე წუთით სადღაც ქრება

ქრაკოვი. 16 სექტემბერი. 19 საათი. ჟორდანს პარკი. 6 000 (ტევადობა 10 000)

ვისლა 4:3 დინამო

0:1 კანკავა (18), 0:2 ალადაშვილი (26), 1:2 გორავსკი (60), 2:2 ჟურავსკი (62), 3:2, 4:2 ფრანკოვსკი (64, 76), 4:3 კლოსი (84ს.კ.)

ვისლა	დინამო
ვისლა: მაიდანი, ბაშჩინსკი, კლოსი, გლოვაცკი, მიალოვიჩი, გორავსკი (სტოლარჩიკი 79), კუკიელკა (კანტორო 41), შიმკოვიაკი, ზინჩუკი (კუუბა 46), ფრანკოვსკი, ჟურავსკი	დინამო: ზოიძე (მამალაძე 46), შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, კანკავა, ნემსაძე, ალადაშვილი (კაკალაძე 69), კვირკველია, გონჩაროვი, მელქაძე (გრიგალაშვილი 58)
სათადარიგონი: პიკუტოვსკი; კეიკი, ომეონუ, ფეხნერი	სათადარიგონი: ბურდული, დვალი, კაშია, გიგაური
მწვრთნელი: პენრიკ კასპერჩაკი	მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: მაიდანი (33), ჭიჭვეიშვილი (52), გონჩაროვი (83), მამალაძე (85)

მსაჯები: დ. ჩეფერინი; ი. ზუპანჩიჩი, ა. კოკოლი; ს. კანდარე (ყველა სლოვენია)

ძიგა ინასარიძე
კრაკოვიდან

შეცდნენ პოლონელი სინოპტიკოსები: მატჩის დღეს ნავარაუდევი თავსხმა წვიმის ნაცვლად კრაკოვში მზემ დააჭირა და ხუთი საათისთვის ისეთი ამინდი დადგა, ფეხბურთის თამაშს რომ არაფერი სჯობდა.

ეს სტრიქონები მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე იწერება და ბოლოდროინდელი ტრადიციისამებრ, „ვისლა"—„დინამოს" მატჩის რეპორტაჟი, ასე ვთქვათ, ონლაინ რეჟიმში მიხდება.

ამ დროისთვის ქომაგებს სტადიონის სამი ტრიბუნიდან ორი შევსებული აქვთ, ერთიც სანახევროდ, ახლა „ვისლას" ჰიმნიც ისმის და ხალხიც ისე გაინაბა, რაღა ეს მელოდია და რაღა სახელმწიფო ჰიმნი...

და, აგერ, მატჩიც დაიწყო, გონჩაროვმა და მელქაძემ ბურთი ცენტრში გაითამაშეს. ჩვენები მშვიდად გამოიყურებიან, აუღელვებლად ათამაშებენ ბურთს და მე-4 წუთზე კანდელაკმა მაიდანის კარისკენ დაარტყა კიდეც. აქვე მარჯვენა ფლანგზე კანკავამ მოიპოვა ბურთი. მიალოვიჩს გასცდა და მაიდანი ერთხელაც შეაწუხა. „დინამომ" მატჩი ისევე დაიწყო, როგორც პრაღაში „სლავიასთან" შეხვედრა. თუმც ჯერ ძალიან ადრეა, მე-9 წუთია. გეგუჩაძის ტაქტიკური მონახაზიც იგივეა, რაც ჩეხეთში იყო. სტუმრები კრაკოველებს მათსავე ნახევარზე მეტ-ნაკლებად აგრესიული პრესინგით ეთამაშებიან. ჯერჯერობით საერთოდ არ ჩანს მასპინძელთა კაპიტანი და ლიდერი მაცეი ჟურავსკი. აქ გორავსკიმ იაქტიურა, „ვისლამ" კუთხური ჩააწოდა, გლოვაცკის თავური კი მიზანს საკმაოდ ასცდა. „დინამოს" საპასუხო შეტევა მელქაძის ძლიერი დარტყმით დასრულდა, მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია, იქიდან მოწოდებულს გონჩაროვმა დაჰკრა და მასპინძლებიც ძალიან აანერვიულა. მათ ბედად, ბურთმა ხარიხას გადაუფრინა, არადა, კარში რომ წასულიყო, მაიდანი ამღები არ იყო. ტრიბუნაზე კი ერთი ულვაშა წამოხტა და ვითომ ჩვენს გასაღიზიანებლად, შევარდნაძე.... ბოდიში, აგერ, კანკავას საფირმო დარტყმა და 0:1... ეს უკვე ნამდვილად „სლავია" — „დინამოს" სცენარია... ვნახოთ, რა როგორ გაგრძელდება. კანკავას დარტყმული ბურთი კი რიკოშეტით მეკარის ნახტომის საპირისპირო კუთხეში აღმოჩნდა.

„ვისლა", აშკარად ჩანს, ანერვიულდა, ქომაგი კი დაიძაბა, ჯაბა კანკავა შუა მოედნის სრული ბატონ-პატრონია, რაც „ვისლას" სამატჩო მონახაზს ურევს. აგერ, სულაც სიმშვიდის განსახიერება ჰენრიკ კასპერჩაკიც წამოხტა და თავისიანებს... ერთხელაც ბოდიში დაუსრულებელი წინადადებისთვის — ნემსაძის ჩინებული პასით ალადაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ესეც 0:2. ეს უკვე რაღაც სენსაციის მაგვარია. „ვისლასთვის" ეს შოკია, ნაქები პოლონელები უბრალო სიტუაციებში ცდებიან. აქ კი ჟურავსკიმ გააცუდა კარგი მომენტი. „დინამომ" ბურთი ცენტრში დაკარგა, პოლონელთა კაპიტანმა მწვავედ შეუტია, მაგრამ ზოიძემ დროულად დატოვა კარი, ჟურავსკის სივრცე შეუზღუდა და მასპინძელმა ზუსტად დარტყმა ვერ შეძლო.

ტაიმის დამთავრებამდე რვა წუთი რჩება. „ვისლა" ნელ-ნელა გონს მოდის. პოლონელები აქტიურობენ, თუმც ჩვენების დაცვაც ყოჩაღობს. მასპინძლებმა უკვე მეხუთე კუთხური მოაწოდეს, მაგრამ დასაწყისშივე გლოვაცკის თავურის გარდა „ვისლას" კარისკენ არ დაურტყამს. ზოიძე გამოსვლებზე უშეცდომოდ თამაშობს. შესვენებამდე ორი წუთით ადრე თამაში გათანაბრდა. ამასობაში 45 წუთიც ამოიწურა და ის წუთიც, რაც მსაჯმა დაამატა.

— რაღაც წარმოუდგენელი ხდება. ეს „ვისლა" არაა, მგონი, „დინამოსთან" სხვა გუნდი თამაშობს. კი მაგრამ, კასპერჩაკმა თქვენების რამდენიმე მატჩის ფირი ნახა და „დინამოს" ასე აგდებულად რატომ შეხედა? კარგი გუნდი გყოლიათ — შესვენებაზე ნაცნობი პოლონელი მომიახლოვდა და „ვისლას" უსუსურ თამაშზე დაიჩივლა. ეს ულვაშა კი, ჩვენს წინ რომ მოკალათებულა, „ვისლასგან" განსხვავებით, ნერვებზე თამაშობს კარგად. უკვე მესამედ ახსენა შევარდნაძე და საქართველო ერთ კონტექსტში, თანაც უხამსი ჟესტებით ცდილობს ქართული დელეგაციის მწყობრიდან გამოყვანას. აგერ, სამი ქართული ხუთეჯვრიანი დროშა და აღმოსავლეთ ტრიბუნის კუთხეში „დინამოს" მოქომაგე ათამდე ქართველიც გამოჩნდა. ისინი მოგვესალმნენ და ჩვენი გუნდის გამხნევებას შეუდგნენ.

პირველი შეცვლებიც შესვენებაზე გაკეთდა. „დინამომ" ტრავმირებული ზოიძის ნაცვლად მამალაძეს ანდო კარი. „ვისლამ" არგენტინელი კანტორო კუკიელკას ნაცვლად გამოაჩინა, კუუბამ კი ზინჩუკი შეცვალა. კასპერჩაკმა შეტევა გააძლიერა, მაგრამ საწყისს ხუთ წუთში „ვისლას" გაძლიერებისა არაფერი ეტყობა. პირიქით, გონჩაროვმა ნაღდი საგოლე მომენტიც გააცუდა. მაიდანის უხეში შეცდომით ველარ ისარგებლა. თავად მეკარემ კი სლოვენიელი მსაჯისგან დარკო ჩეფერინისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა. მაიდანის გარდა გაფრთხილების კანდიდატები ჟურავსკი და გორავსკიც არიან, რომლებიც არბიტრს გამუდმებით ეკამათებიან. თუმც აგერ ჭიჭვეიშვილმა მიიღო ყვითელი, იქვე კი მეორედ დაჯარიმდა და ჩეფერინისგან სიტყვიერი გაფრთხილებაც მიიღო. 55-ე წუთზე „დინამო" უხეშად შეცდა, მაგრამ ჩვენდა ბედად კუუბას დარტყმული ძელმა აისხლიტა და სტუმრები გადარჩნენ. კვირკველიაზე დაჯარიმებისთვის კი მატჩი წუთით შეწყდა, რამაც ჩვენებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. აქვე შიმკოვიაკსაც მიარტყა კოჭებში დაულალავმა კანკავამ და კიდევ ერთი პაუზაც. ეს ყველაფერი „დინამოს" სასარგებლოდაა...

მე-60 წუთზე კი ჟურავსკიმ თავისი საქმე გააკეთა. მარჯვენა ფლანგიდან იდეალური პასი გაუკეთა გორავსკის, რომელმაც შეუჩერებლად დაჰკრა ბურთს „ბაჩოკი" და გაიტანა. პოლონელები, ცოტა არ იყოს, მოფერიანდნენ... და აქვე ჟურავსკიმ ერთხელაც გამოაჩინა კლანჭები და ჩინებული გოლიც გაიტანა. მან შიმკოვიაკის პასი მიიღო, ბურთი მკერდით გააჩერა და უძლიერესად დაარტყა.

და ერთი გოლიც — 3:2. კვლავ ჟურავსკის პასი და ფრანკოვსკიმ გაიტანა. „დინამოს" დაცვა რატომღაც ძალიან დაბნეულია. მეორე ტაიმში დაცვაში უამრავი ხვრელი გაჩნდა, რასაც ჟურავსკი მშვენივრად იყენებს.

ახლა უკვე გია გეგუჩაძე ანერვიულდა და მოედნის პირას მყოფ ფეხბურთელებს შენიშვნებს აძლევს.

„დინამომ" თამაში გამოასწორა. 72-ე წუთზე კი სახიფათოდაც შეუტია მეტოქეს. კვირკველია, გრიგალაშვილი და გონჩაროვი კლოსთან და ბაშჩინკისთან დარჩნენ კარის ახლო-მახლო, მაგრამ ბურთის გათამაშება ველარ შეძლეს და შეტევა კლოსმა ჩაშალა. იქვე კი ნემსაძემ დაარტყა ხუთიოდ მეტრიდან, მაგრამ უზუსტოდ.



„ვისლამ" კრაკოვში კი გაიხარა, მაგრამ წინ თბილისია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთი გოლიც. ფრანკოვსკის პასი მცველმა აისხლიტა, მიმართულება შეიცვალა, ჟურავსკი კი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მამალაძეს გასცდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

ამ აუტის სწორად მოწოდებაც რა გახდა?! ამ მატჩში „დინამო" უკვე მეორედ შეცდა აუტისას და ბურთი მეტოქეს ჩააბარა. გაიხსენეთ, ამას წინათ თურქებმაც ქართველებისგან აუტისას ბოძებული ბურთით ისარგებლეს. ახლა კი „დინამო" გადარჩა... იქით კი — გოლი! კვირკველიამ ლამის ცენტრიდან შეასრულა საჯარიმო, მეკარემ ბურთი ვერ დაინახა, მას თავდამსხმელები ეფარებოდნენ და გოლიც გაკეთდა. ღმერთმანი, წაგებამ როგორ უნდა დაგაკმაყოფილოს, მაგრამ საპასუხო მატჩის წინ 3:4 ურიგო შედეგი სულაც არ არის. თუმც ჯერ ორი წუთი კიდევაა და „დინამოც" ისე თავდაჯერებით თამაშობს, გამორიცხული არაა, მაიდანი და „ვისლა" ერთხელაც დამწუხრდნენ. აგერ, კვირკველიას კარგი მომენტი, მაგრამ კარის წინ გაკეთებული პასი თუ დარტყმა ისევ უზუსტოა, არადა, გონჩაროვს და კაკალაძეს ბურთამდე და კარამდე ნახევარი მეტრი აშორებდათ. საპასუხოდ კი კუუბამ გარული საჯარიმო, მეკარემ ბურთი აცუდა კარგი მომენტი.

ნამატჩევს

გია გეგუჩაძე: „ვისლას" მოგებას ვულოცავ. ვიცოდით, რომ მეტოქე ევროპული დონის გუნდი იყო და ეს დადასტურდა კიდეც. „სლავიასთანაც" ზუსტად ამ დროს გავუშვით გოლები და საბოლოოდ წავაგეთ კიდეც. ახლაც ასე მოხდა, ანუ ეს უკვე კანონზომიერი ხდება, რასაც არ დავუშვებ. ვეცდები, მალე გავარკვიო, რა გვემართება, რათა საპასუხო მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

...განსაკუთრებული პრეტენზიები მაქვს ლიდერებთან, რომლებმაც ვერ შეძლეს, გუნდს გაძღოლოდნენ და ახალგაზრდები აეყოლიებინათ. მათ ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ საიმისოდ, რათა ეს თამაში არ წაგვეგო.

...თბილისში გაცილებით რთული თამაში გველის. დღევანდელი შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ და იმედი მაქვს, ჯგუფურ ეტაპზე ჩვენ გავალთ.

ჰენრიკ კასპერჩაკი: პრესაში ბევრი კარგი დაიწერა „დინამოზე". დღეს დავრწმუნდი, რომ „დინამო" მართლაც ძლიერი გუნდია.

... პირველი ტაიმი პირწმინდად წავაგეთ და ესეც ალბათ „დინამოს" ბრალი იყო. შესვენების მერე დიდი დრო არ გვრჩებოდა და მეც გავრისკე: ორი შეცვლა გავაკეთე, რამაც გამიმართლა და თამაში მოგვაგებინა. 4:3 ძალიან ცუდი ანგარიშია ჩვენთვის, მაგრამ იმედი მაქვს, გვეყოფა.

მაცეი ჟურავსკი: ვიცოდი, რომ „დინამო" კარგი გუნდი იყო, მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ველოდი. მეორე ტაიმში გაგვიმართლა და მცირე მონაკვეთში ოთხი გოლი გავიტანეთ. ეტყობა, დინამოელები გამოუცდელები არიან და დაიბნენ. საპასუხო მატჩის წინ შანსებს თანაბრად ვაფასებ.

ტომაშ ფრანკოვსკი: პირველ ტაიმში თბილისელებმა ფეხი არ გამანძრევინეს და ძალიან გამიჭირდა. მერე მწვრთნელმა ჭკვიანური შეცვლები გააკეთა და ამის ხარჯზე უპირატესობა მოვიპოვეთ. ტემპი და აგრესია გავზარდეთ და მოვიგეთ, მაგრამ 4:3 სულაც არ მაკმაყოფილებს. თბილისშიც დიდი ბრძოლა გველის.

გიორგი ნემსაძე: ეტყობა, პროფესიონალიზმი დაგვაკლდა, 2:0 ვიგებდით და ასეთი ანგარიში არ უნდა გაგვეფლანგა. გამოუცდელობამ დაგვალალატა. არ უნდა მოვდუნებულიყავით.

ლევან მელქაძე: მე მხოლოდ პირველ ტაიმზე თუ ვიტყვი რამეს, რადგან მწვრთნელმა რომ შემცვალა, გასახდელში შევედი, მოედანზე დაბრუნებულს კი ტაბლოზე 3:2 დამხვდა. თვალებს არ ვუჯერებდი. კინაღამ გავგიჟდი. თუმცა, არაუშავს. საპასუხო მატჩისთვის უფრო სერიოზულად მოვემზადებით. სტადიონზე ალბათ მაყურებელიც მრავლად მოვა და „ვისლას" აუცილებლად დავამარცხებთ.

ხიზანეიშვილის ბონდარენკოს რომანცევი დაუნიშნეს





რომანცევი ხიზანეიშვილს მიუახლოვდა

მოსკოვის „დინამოს“ გუშინდელ ვარჯიშს ცნობილი რუსი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი დაესწრო. საქმე ისაა, რომ რომანცევი ამ კლუბის მწვრთნელ-კონსულტანტად დაინიშნა.

ოთარ ხიზანეიშვილს და მის თანაგუნდელებს ახლა მძიმე დღეები უდგათ — „დინამოს“ მოგების გემო გადაავიწყდა და გასავარდნ მე-15 ადგილზეა. კლუბის ხელმძღვანელობამაც გამოსავალს მიაგნო და...

— ვთვლი, რომ რომანცევი პოსტსაბჭოურ სივრცეში საუკეთესო მწვრთნელია. ამიტომ იმედი მაქვს, რომ ძალიან დაგვეხმარება. რომანცევის პროფესიონალიზმში დარწმუნებული ვარ — განაცხადა „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ ბონდარენკომ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ხიზანეიშვილმა სწორედ ბონდარენკოს ხელში მოიპოვა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ახლა უკვე „დინამოს“ დაცვის მთავარი ფიგურაა. ასე რომ, იმედია, „ხიზანას“ რომანცევისეულ „დინამოშიც“ მოეძებნება ადგილი.

ძახა შალამბერიძე

მუჯირი ირანიდან წამოვიდა
იქ ოთხი ქართველი დარჩა



მუჯირი ირანელებს ფიტი

ირანის ჩემპიონატი დაიწყო, მაგრამ ერთი ტური ისე ჩამთავრდა, რომ სპარსეთის თასის მფლობელ „სეპაჰანში“ ჯაბა მუჯირს არ უთამაშია — ისპაჰანელთა მარცხენა მცველი ახლა თბილისშია და რამდენიმე დღეში კიევში გადაფრინდება.

„სეპაჰანი“ სეზონისწინა შეკრებაზე გერმანიაში გახლდათ და ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში ბუნდესლიგელ „ბოხუმს“ ეთამაშა. სწორედ ამ მატჩში დაშავდა მუჯირი — მარჯვენა მუხლის იოგების გაწყვეტა და მენისკი — ასეთი იყო დიაგნოზი.

მუჯირი „სეპაჰანთან“ ერთად ირანში კი დაბრუნდა, მაგრამ ოპერაციის გაკეთება კიევში გადაწყვიტა. სავარაუდოდ, ჯაბა 5-6 თვის შემდეგ შეძლებს თამაშის გაგრძელებას.

ამასობაში ირანში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი ჩავიდა. უმაღლეს ლიგაში ახლადაღზევებულ „საბა ბათერში“ მეკარე სერგო ჭურაძეს კიდევ ორი ქართველი დაეგუშინ პირველ ლიგაში ბევრი რამ მოხდა პირველად. „ამერმა“ პირველი გოლი გაუშვა და პირველი თამაში წააგო. ამ სეზონში პირველად დამარცხდა ლანჩხუთის „გურიაც“. „ივერიამ“ და „საგარეჯომ“ კი პირველად გაახარეს გულშემატკივრები სამ-სამი ქულით.

ზოგადად, „ამერი“ „ივერიაზე“ საგრძნობლად ძლიერი გუნდია და როცა რომელიმე გუნდი მასზე სუსტთან მარცხდება, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ რიგ გარემოებათა თანხვედრასთან გვაქვს საქმე — მით უფრო, რომ ხაშურელებს გუშინ „ამერზე“ უკეთ არ უთამაშიათ.

ერთი გარემოება, რაც „გრიგოლ ჯომართიძეზე“ ფეხის შედგმისთანავე მოგზდებოდათ თვალში, ძალიან ცუდი მოედანია — ალბათ უარესი მათგან, რომლებზეც საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩები იმართება. თავისთავად, მოედანი ორივე გუნდისთვის თანაბრად ცუდი იყო, მაგრამ ისიცაა, რომ ხაშურელები ნაცნობ ოღრო-ჩოღროებში თამაშობდნენ, ხარისხიან მოედანზე თამაშნაჩვევ „ამერს“ კი ამგვარი პირობებისთვის ალღოს აღება გაუჭირდა.

მეორე გარემოებად სულიკო დავითაშვილის დისკვალიფიკაცია შეგვიძლია მივიჩნიოთ. უმაღლესი ლიგის ორგზის ბომბარდირის არყოლამ „ამერის“ იერიშებს დაღი დასვა, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ სეზონის ყოველ მატჩში ოპტიმალური შემადგენლობა მსოფლიოში არც ერთ გუნდს არ ეყოლება.

წინა მატჩებში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს „ამერის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთაგან ყველაზე უმცროსებმა — გიორგი ელბაქიძემ და დავით მჭედლიშვილმა. საკუთარ შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშა რატი წინამძღვრიშვილმაც. ეს სამეული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ხერხემალს წარმოადგენს. ისინი ხაშურულ მატჩამდე მთელი

ხაშური. 16 სექტემბერი. 16 საათი. გრიგოლ ჯორჯანიძე. 200 მაყურებელი

ივერია 1:0 ამერი

1:0 ლაცაბიძე (45)

ივერია	ამერი
ივერია: დერევიანჩენკო, ლომიძე, მელაძე, ბლიაძე, გ. ლაცაბიძე, ჯოგლიძე, დ. ხაჩიძე (ტელაშვილი 64), ელისაშვილი, ვლასოვი, ლონლაძე (ჯაფარაშვილი 90), თ. ხაჩიძე (გოგალაძე 80)	ამერი: ნაჭყეპია, კედელაშვილი, ელბაქიძე (შონია 74), დავითნიძე, მჭედლიშვილი (სამსიანი 70), კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, სევასტოპულო, სილაგავა, ხვადაგიანი, წინამძღვრიშვილი
მწვრთნელი: მევლუდ ლომიძე	მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: კედელაშვილი (59)

მსაჯები: დ. სანაია; დ. კვეტენაძე, მ. ბეუქლიშვილი; ჯ. ბუიშვილი

ქარის გატანილს ხაშური წაიღებს

კვირის განმავლობაში სანაკრებო შეკრებაზე იყვნენ გამოძახებულნი და ამ ერთ კვირაში მესამე მატჩის ჩატარება მოუხდათ. სანაკრებო რეჟიმზე გადაწყობილებს და გადაღლილებს კი ის თამაში არ გამოუვიდათ, რაც შეუძლიათ.

და ქარი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მასპინძელთა გოლში: პირველი ტაიმის მეორე წამატებულ წუთზე ამერელთა კარიდან 25-30 მეტრში ჯარიმა დაინიშნა. გიორგი ლაცაბიძემ ბურთი საჯარიმოში ჩაჭიდა, ქარმა კი ბურთის ტრაექტორია ძალიან უცნაურად შეცვალა და შორეულ ცხრიანში გააფრინა.

უნდა ითქვას, რომ მეტი საგოლე მომენტი „ივერიას“ არ ჰქონია.

მომენტების სიუხვით ვერც „ამერი“ გამოირჩა, თუმცა ორ ეპიზოდში მასპინძლები მეკარე ბორის დერევიაჩენკომ იხსნა — პირველ ტაიმში ალექსანდრე კაიდარაშვილის დარტყმულს გადაეფარა, მატჩის მიწურულს კი დავით სევასტოპულოს თავური დარტყმა მოიგერია ეფექტური ნახტომით.

თუმცა, გარემოებათა თანხვედრა მოულოდნელი შედეგის ასახსნელად კი გამოდგება, მაგრამ ფეხბურთი ხომ ის თამაშია, რომელშიც მხოლოდ გოლებს ითვლიან და იმის მიხედვით გამოავლენენ გამარჯვებულს. გოლი კი „ივერიამ“ გაიტანა.

ირაკლი ნინიძე

საგარეჯო 1:0 გურია

ამერი	5	4	0	1	17:1	12
ბორჯომი	4	3	0	1	11:6	9
კახეთი	4	3	0	1	10:9	9
გურია	5	2	2	1	5:3	8
ვიტ ჯორჯია	4	2	1	1	8:3	7
დინამო 2	4	2	0	2	11:8	6
სპარტაკი	3	1	2	0	5:3	5
ცხინვალი	4	1	2	1	10:9	5
ჩიხურა	4	1	2	1	3:4	5
ივერია	4	1	2	1	3:5	5
რუსთავი	4	1	1	2	4:5	4
საგარეჯო	5	1	1	3	3:13	4
მერანი	2	1	0	1	5:5	3
მაღაროელი	4	0	2	2	3:7	2
ოლიმპი	4	0	2	2	3:7	2
ლოკომოტივი 2	4	0	1	3	1:14	1

რევაზ ნაჭყეპია ჭარწაღებულს ვერ დაეწია

გაფრი ჯორჯიაშვილის ფოტო

ქეცბაიამ ჩალაძეს ანართოსისში დაუძახა

რუსული „რუბინის“ ყოფილი თავდამსხმელი დავით ჩალაძე კვიპროსულ „ანართოსისში“ გადავიდა. ყოველგვარი ფორმალობანი უკვე მოგვარებულია და ამდენი ხნის ნატანჯ-ნაწვალები ფეხბურთელის უთამაშებლობას, როგორც იქნა, ბოლო მოეღო.

შეგახსენებთ, რომ წელიწადზე მეტია, ჩალაძეს არსად უთამაშია. 2003 წლის ნოემბერში „რუბინიდან“ წასვლის შემდეგ ჩვენებური გუნდის ძიებაში იყო, თუმც ამაოდ. ყველაზე სერიოზულად დათოს დონეცკის „მეტალურგში“ გადასვლაზე ითქვა, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე.

საბოლოოდ ჩალაძეს თემურ ქეცბაიამ შეაშველა ხელი. გეცოდინებათ, ქეცბაია „ანართოსისის“ მოთამაშე მწვრთნელია და კვიპროსში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჩალაძე მის წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა და ორიოდ კვირაა, ახალ კლუბთან ერთად ემზადება, უკვე ამხანაგურ მატჩებშიც მოასწრო თამაში და იქაურებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ერთი სიტყვით, ჩალაძე „ანართოსისის“ ქართულ ტრიოს შეემატა — ამ კლუბში ხომ ქეცბაიას გარდა გიორგი გაბიდაური და კლიმენტი წიტაიშვილი თამაშობენ.

ძახა შალამბერიძე

ეროვნული ნაკრების ფოტო

ეროვნული ნაკრების ფოტო

ეროვნული ნაკრების ფოტო

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

A ჯგუფი

რივალდოს აწვალა

დეპორტივოს — ოლიმპიაკოსი. რივალდომ ყოფილი თანაგუნდელები დააწიოკა

REUTERS ლა კორუნიადან

დეპორტივო 0:0 ოლიმპიაკოსი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, მ. სესარი, რომერო, სკალონი, სერხიო, მუნიტისი (ექტორი 89), ვალერონი, ლუკე (ფრანი 71), პანდიანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი (კოსტულასი 89), შურერი, ანატოლაკისი, ვენეტიდისი, სტოლტიდისი, კაფესი, გეორგატოსი (გეორგიადისი 85), რივალდო, ჯოვანი (მავროგენიდისი 77), ოკასი

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

გაფრთხილება: კაფესი, პანდიანი, ოკასი, სესარი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

24 000 მაყურებელი

ხავიერ ირურეტას „დეპორტივომ" ვერ სძლია გუნდს, რომლის ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არც დაწყებულა და რომელსაც 2001 წლის 18 სექტემბრიდან მოყოლებული საერთაშორისო სარბიელზე ქულაც ვერ მოუპოვებია.

ადგილობრივები რივალდოს, გეორგატოსს და კომპანიას შეფერთხილი შემადგენლობით დაუხვდნენ — ტრავმათა გამო ტრისტანმა, მაურო სილვამ, დუშერმა და ვიქტორმა ვერ იბურთავეს. სკალონი და სერხიოც უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდნენ. აქედან გამომდინარე ირურეტას შეგირდებს მეტოქის შევიწროვება ფრიად გაუჭირდათ — „დეპორის" მთელი პირველი ტაიმის „მონაგარი" ოდენ მე-20 წუთზე, სერხიოს თავური გახლდათ. რაც შეეხებათ სტუმრებს, ბრაზილიელმა რივალდომ ყოფილი გუნდის მცველები აიკლო: ბერძენთა მოიერიშეს შესვენებამდე ორჯერ შეეძლო „ოლიმპიაკოსის" დაწინაურება. პირველად თუ მისი მაკრატელა მოლინას კარს მცირედით ასცდა, მეორედ ახლო მანძილიდან უხეიროდ დაარტყა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა თითქოსდა მძლავრად შეუტიეს, თუმც მათი მცდელობანი ფუჭი იყო. და მაინც, ყველაზე კარგი შანსი ვალტერ პანდიანის ჰქონდა, მაგრამ ურუგვაელმა მარცხენა ფლანგიდან ლუკეს შესანიშნავი ჩამოწოდების შემდეგ ვერ იხეირა.

„ტრავმათა გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და ამიტომაც ვერ შევძელით ჩვეულად ბურთაობა. თუმც ამის გამო თავს არ ვიმართლებ" — განაცხადა პრესკონფერენციაზე ირურეტამ.

ლივერპული 2:0 მონაკო

1:0 სისე (22), 2:0 ბაროში (87)

ლივერპული: დუდეკი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (უორნოკი 77), ლუის გარსია (ბიშკანი 87), ჯ. სისე (ბაროში 69)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მონაკო: რომა, გივე (ულ ფაკირი 80), სკილაჩი, ჟ. როდრიგესი, ევრა (ს. კამარა 46), ფარნერუდი, ზიკოსი, დ. პერესი (ჯ. ჟუანი 89), მაიკონი, კალონი, ადებაიორი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: ზიკოსი, ჯერარდი, გივე

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

33 517 მაყურებელი

რაფაელ ბენიტესის „ლივერპულმა" შესანიშნავად ითამაშა და შარშანდელი ლიგის ფინალისტს არავითარი შანსი არ დაუტოვა. მასპინძელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გუნდის ესპანელი ახალწვეული ლუის გარსია გახლდათ.

მე-18 წუთზე ლუის გარსიამ დაახლოებით 25 მეტრიდან დარტყა ძლიერად, თუმც იმ ეპიზოდში ფლავიო რომას კარი საფეხბურთო ფორტუნამ დაინდო, მაგრამ ოთხ წუთში „მონაკომ" მაინც გაუშვა — ჯერარდმა და გარსიამ ფრანგების დაცვა გაარღვიეს და ჯიბრილ სისემაც იოლად შეაგდო.

შესვენების შემდეგ „მონაკო" ოდნავ გამოცოცხლდა — დიდიე დეშანმა მოედანზე ახალგაზრდა თავდამსხმელ სულეიმან კამარას უხმო, ვინაც ემანუელ ადებაიორთან ერთად რამდენჯერმე მოახერხა ირჟი დუდეკის შეწუხება, მაგრამ...

მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კი მილან ბაროშმა ხოსემის შორეული გადაცემით ისარგებლა, სებასტიან სკილაჩი ბავშვივით მოატყუა და ფლავიო რომასთვის მეორის გატანა არ გასჭირვებია.

ლადო ხომერიკი

ლივერპული	1	1	0	0	2:0	3
დეპორტივო	1	0	1	0	0:0	1
ოლიმპიაკოსი	1	0	1	0	0:0	1
მონაკო	1	0	0	1	0:2	0

D ჯგუფი

ვან ჰოიდონკს კალათბურთელები დაეხმარნენ

ლიონი — მანჩესტერი. რუუდ ვან ნისტელროიმ დენის ლოუს გაასწრო

REUTERS ლიონიდან

ლიონი 2:2 მანჩესტერი

1:0 კრისი (35), 2:0 ფრო (45), 2:1, 2:2 ვან ნისტელროი (55, 61)

ლიონი: კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, ბიდალი, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, ვილტორდი (კლემანი 88), მალუდა, გოვუ (ბენ აფრა 75), ფრო (ნილმარი 65)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

მანჩესტერი: ჰოვარდი, ჰაინცე, ბრაუნი, სილვესტრი, ოში (ფ. ნევილი 83), კ. რონალდო, კინი, ჯემბა-ჯემბა, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (სმიტი 79)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ჰაინცე, კრისი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

40 000 მაყურებელი

„ცხადია საწყენია, რომ მეტოქეს ორბურთიანი სხვაობის გაბათილების საშუალება მივეცით — თქვა ნამატჩევს პოლ ლე გუენმა — ეს უყურადღებობის ბრალია. ათი წუთით მოვდუნდით და მანჩესტერელებმა დაგვსაჯეს. ამ მხრივ ბევრი სამუშაო გვაქვს და ნაკლი უნდა გამოვასწოროთ. ზოგადად, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, რადგან ბიჭებს მონდომება არ დაუკლიათ მაშინაც კი, როცა სტუმრებმა გაათანაბრეს".

„მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი მცველი გაბრიელ ჰაინცე: „ამჯერად ფრით დავკმაყოფილდით, რადგან „ლიონი" ყოჩაღად თამაშობდა. ორი ქულა კი არ დავკარგეთ, არამედ ქულა მოვიპოვეთ."

ალექს ფერგიუსონი: „ვფიქრობ, რომ კარგი შედეგია. ვან ნისტელროის პირველმა გოლმა ვითარება საჩვენოდ შეცვალა".

რუუდ ვან ნისტელროი ევროთასებზე „მანჩეტერ იუნაიტედის" ბომბარდირი გახდა, რაკი 30 გოლი დაუგროვდა და დენის ლოუს (28) გაუსწრო. „დენის ლოუ ერთ-ერთი უძლიერესი იყო, მაგრამ რუუდი ფანტასტიკურია" — თქვა ალექს ფერგიუსონმა.

„ლიონის" ძირითად შემადგენლობაში იყვნენ სილვენ ვილტორდი და ბრაზილიელი ლეგიონერი კრისი, რომლის დებიუტიც შედგა კიდეც ჩემპიონთა ლიგაში.

თავიდან ორი მომენტი „მანჩესტერ იუნაიტედს" ჰქონდა. პოლ სქოულზი კარის წინ გასრიალებულ ბურთს ვერ მისწვდა, ხოლო რაიან გიგზმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

ვილტორდმა ფლორენ მალუდა მეკარეს პირისპირ შეჰყარა, მაგრამ ჰოვარდმა იმარჯვა და ფორვადს დაასწრო. პიერ-ალან ფროს თავით დარტყმული ბურთი სქოულზმა კარის ხაზიდან გამოიტანა, მერე კი მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს: ტიმ ჰოვარდი გამოსვლისას შეცდა და კრისმა გოლით დასაჯა.

იშტაზე მოსულმა ფრანგებმა გაილაღეს. სიდნეი გოვუმ ბურთი მეკარეს შორიდან თავზე გადაავლო, მაგრამ კარს ააცილა, მოგვიანებით კი ფრომ კარგად დაუმიზნა და ანგარიში სხვაობაც ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში „მანჩესტერი" გამოსწორდა, რუუდ ვან ნისტელროიმ ორივე გოლი კრისტიანო რონალდოს პასებით გაიტანა, ჯერ თავით შეაგდო, მერე ფეხით აჯობა კუპეს.

პოლ სქოულზმა კასაპას დარტყმის შემდეგ ერთხელ კიდევ გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 12 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ნილმარმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი დაღუპა.

ფენერბაჰჩე 1:0 სპარტა

1:0 ვან ჰოიდონკი (16)

ფენერბაჰჩე: რუშთუ, ფაბიო ლუსიანო, სერვეთი, ფაბიანო, დენიზი, უმით ოზატი, სერპათი (ნობრე 82), მარკო აურელიო, ალექსი (სერქანი 90), თუნჯაი (ონდერი 78), ვან ჰოიდონკი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

სპარტა: ბლაჟეკი, ჰერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, მ. ჩეხი (მედუნა 75), ვორიშეკი, შივოკი, ზელენკა (შიმაკი 46), ურბანეკი, ბარანეკი (იუნი 60), ჰაჩანდა

მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა

გაფრთხილება: სერვეთი, სერვეთი, რუშთუ

გაძევება: სერვეთი (73)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

45 000 მაყურებელი

„ფენერბაჰჩეს" ჩემპიონთა ლიგის ბოლო შვიდი მატჩიდან აქამდე ერთიც ვერ მოეგო და ნავსი „სპარტასთან" გატეხა. შეხვედრის დასაწყისშივე თუნჯაის გასროლილი ბურთი ბლაჟეკმა ცხრიანიდან გამოაძრო, მაგრამ მეთექვსმეტე წუთზე ჩეხთა მეკარემ გუნდი ვეღარ იხსნა. პიერ ვან ჰოიდონკმა მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და ალექსის ჩაწოდებულს თავი საგოლედ დაჰკრა. თურქები განსაკუთრებით ტაიმის მიწურულს გააქტიურდნენ. მათი ფლანგელები სისწრაფის ხარჯზე სჯობდნენ სტუმრებს და „სპარტას" ბლომად თავსატეხი გაუჩინეს.

შესვენების შემდეგ „ფენერბაჰჩემ" კიდევ უფრო უმატა ტემპს. თუნჯაის პასით ალექსი საჯარიმოში ბურთიანად დარჩა და მისი დარტყმული ბლაჟეკმა კუთხურზე მოიგერია, ხოლო სტუმარი მილან ჰაჩანდა მასპინძელ მცველებში გაძვრა და ბურთი კარს ააცილა.

73-ე წუთზე სერვეთ ჩეთინმა უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს, მაგრამ კაცნაკლულმა „ფენერმა" ანგარიშის შენარჩუნება შეძლო.

„კარგადაც ვითამაშეთ, თან იღბალიც წაგვეხმარა. ვფიქრობ, რომ ჯგუფიდან გასვლას შევძლებთ" — თქვა პიერ ვან ჰოიდონკმა, რომელმაც ამ მატჩის სანახავად სტამბოლში მყოფი ჰოლანდიის კალათბურთელთა ნაკრები დაპატიჟა.

ვაჟა ხუციშვილი

ფენერბაჰჩე	1	1	0	0	1:0	3
მანჩესტერი	1	0	1	0	2:2	1
ლიონი	1	0	1	0	2:2	1
სპარტა	1	0	0	1	0:1	0



პიერ ვან ჰოიდონკი

REUTERS სტამბოლიდან

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

B ჯგუფი

მეფე ჩანიხლეს!

REUTERS ლევერკუზენიდან

კლაუს აუგენტალერი ამ მატჩისთვის დიდი ხანი ემზადებოდა

ცხადია, ფინალში დამარცხებისთვის ჯავრის ყრა ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში სრულფასოვანი ვერ იქნება, მაგრამ ხასიათის გაკეთებისთვის ურიგო არ არის. პირდაპირ ვთქვათ, როგორც იყო — „ლევერკუზენმა" „რეალს" გადაუარა. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და სამი გოლითაც გაუმასპინძლდნენ „სამეფო კლუბს".

გერმანელთა მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა იგივე შემადგენლობა გაიყვანა, რომლითაც ბუნდესლიგაში „ბაიერნს" სძლია და „რეალის" კართან პირველი სახიფათო მომენტი პირველ წუთზევე შეიქმნა — პაულ ფრაიერის თავური იკერ კასილიასმა მოიგერია. ოთხ წუთში კი დიმიტარ ბერბატოვის დარტყმულისგან მადრიდელები ძელმა იხსნა.

„ლევერკუზენი" ზეწოლას აძლიერებდა და მომდევნო წუთებში კასილიასის კარისკენ ფრანცამ, კარსტენ რამელომ და კრჟინოვეკმა გაისროლეს. ხოლო სტუმრებმა მეტოქის კარისკენ პირველად მე-14 წუთზე დაარტყეს, ფიგუმ კარს ააცილა. ნაღდად სახიფათო მომენტი კი „რეალმა" 26-ე წუთზე შექმნა. მიჩელ სალგადოსგან ბურთი როკე ჟუნიორზე რიკოშეტით რონალდოს მიუვიდა, ვინც იმ დღეს კარიერაში მე-500 მატჩს ატარებდა. ბრაზილიელის დარტყმული ხარიხას მოხვდა.

„რეალის" გააქტიურება მასპინძლებს არ ეამათ, ტემპს უმატეს და ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ანგარიშიც გაიხსნა. რობსონ პონტემ კუთხური ჩააწოდა, ბექემმა ბურთი მოიგერია, მაგრამ უხეიროდ და კრჟინოვეკს ჩააბარა, რომლის 25 მეტრიდან დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა, მერე კასილიასის ზურგს და კარის ხაზი გადაკვეთა.

მეორე ტაიმი ლევერკუზენელებმა კვლავაც დიდი მონდომებით დაიწყეს და ხუთ წუთში მეორე გოლს გამორჩნენ. ფრაიერმა კრჟინოვეკს უპასა, მან ფრანცას დაუგორა, ვინც ბურთი შორეულ კუთხეში ჩაახვია.

REUTERS ლევერკუზენიდან

რონალდოს, ზინედინ ზიდანს და მათ მეგობრებს ლევერკუზენელებმა კუდით ქვა ასროლინეს

გერმანელებს ტემპი არც ამის მერე დაუგდიათ და აი, შედეგიც: ფრანცას პასი ვალტერ სამუელმა კი ჩაჭრა, მაგრამ ბურთი ისე ზუსტად დაასვა ფეხზე ბერბატოვს, თანაგუნდელი ვერ დაასვამდა, ბერბატოვსაც მოქნევის გარდა აღარაფერი დარჩენოდა.

ლევერკუზენი 3:0 რეალი

1:0 კრჟინოვეკი (39), 2:0 ფრანცა (50), 3:0 ბერბატოვი (55)

ლევერკუზენი: ბუტი, შნაიდერი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, ფრაიერი (ბიროფკა 84), რამელო, პონტე (ბალიტჩი 80), კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა (ბაბიჩი 69)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სელადესი 58), ბექემი, ელგერა, ზიდანი (მორიენტესი 46), რაული, რონალდო (სოლარი 58)

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

გაფრთხილება: სამუელი, პავონი, ბალიტჩი, მორიენტესი, რაული

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

22 500 მაყურებელი

REUTERS რომიდან



გორან გავრანჩიჩის ამ უზადო ჯარიმამ „რომას" ერთ-ერთ გახევებულ ტიფოზს ყბა მოუქცია

აურზაური მექსეშის გამო

რომა — დინამო

0:1-ზე ჩაიშალა

რომ არა რომში დატრიალებული ამბები, დღის თემად „რეალის" ლევერკუზენული ჯახი იქცეოდა, მაგრამ ანდერს ფრისკის გახეთქილმა შუბლმა „ლევერკუზენის" ჯავრისყრა დაჩრდილა.

„რომასა" და კიევის „დინამოს" მატჩი, რომელსაც უკრაინელები 1:0 იგებდნენ, არბიტრისთვის თავის გახეთქვის მიზეზით შეწყდა.

რომაელი ტიფოზები ფილიპ მექსეშის გაძევებამ გაამხეცა. პირველი ტაიმის წამატებულ დროში მექსეშმა მარის ვერპაკოვსკისს ფეხში ჩაარტყა. მთავარი კი ის არის, რომ კიეველი ამ დროს უბურთოდ იყო და ამდენად, მექსეშის საქციელი ჩვეულებრივ სათამაშო ეპიზოდში უხეშობის ფარგლებს სცდებოდა და ანდერს ფრისკის გადაწყვეტილება სავსებით არგუმენტირებული და ლოგიკური იყო. მაგრამ რომაელმა ტიფოზმა სხვაგვარად განსაჯა და რამდენიმე წამის მერე გასახდელისკენ მიმავალ მსაჯს რაღაც საგანი ესროლა. ამ რაღაცამ კი მიზანს უწია და მსაჯის შუბლიც წითლად შეიღება.

მატჩი აღარ განახლებულა, რაც უეფას საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა მენეჯერმა მიკელე ჩენტენარიმ ასე განმარტა" „თამაში შეწყდა. მსაჯს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს და ანდერს ფრისკმაც ეს უფლება გამოიყენა. რა ბედი ეწევა ამ მატჩს, უეფას სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს".

უეფას პრესმდივანმა უილიამ გალარდმა კი თქვა: „ინციდენტის თაობაზე გადაწყვეტილებას მას მერე მივიღებთ, რაც მსაჯის და მატჩის დელეგატის პატაკებს გავეცნობით. სინანულით აღვნიშნავ, რომ ამ მიზეზით ევროპაში დიდი ხანია, მატჩი არ შეწყვეტილა. ბოლო წლებში რამდენჯერმე შეიქმნა პრობლემა შუქის ჩაქრობის გამო, მაგრამ ის ტექნიკური მიზეზია, ამ შემთხვევაში კი საქმე გაცილებით უფრო რთულადაა".

ახლა კი მატჩის პირველი ტაიმი მიმოვიხილოთ: „რომა", რომელიც ერთსეზონიანი არყოფნის მერე დაუბრუნდა ჩემპიონთა ლიგას, ცხადია, წაგების ალბათობას გულშიაც ვერ გაივლებდა, მაგრამ კიეველთა სახიფათო და დისციპლინირებულ გუნდს შეასკდა. იოუეფ საბოს მისვლის მერე „დინამო" აშკარად უკეთესობისკენ გარდაიქმნა.

თამაშის დაწყებას არც ერთი და არც მეორე გუნდი უძლიერესი შემადგენლობით არ შეხვედრია. „რომას" მიდო და ანტონიო კასანო აკლდნენ, „დინამოს" კი მაქსიმ შაცკიხი, სერგეი ფიოდოროვი, როდოლფო და იური დმიტრულინი.

თამაში დაიწყო და მაშინვე ნათელი შეიქმნა, რომ რუდი ფიოლერის შიში ამაო არ იყო. ფიოლერს იმის ეშინოდა, „რომას" სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული და შეთამაშება აკლია, უკრაინაში კი გახურებული ჩემპიონატია.

ბურთს რომაელები მეტხანს ფლობდნენ, თუმც კიეველთა იერიშები უფრო სახიფათო იყო. უკვე მეათე წუთზე ვერპაკოვსკისს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ფლანგურ პასს სწორად ვერ დახვდა. მერე კლებერს დააკლდა სიზუსტე და ბურთი ბადეს ოდენ გარედან გაარტყა. მასპინძელთა მომენტებიდან მხოლოდ ტოტის საჯარიმო დარტყმა იყო გამოსარჩევი, რომელიც შოვკოვსკიმ მოიგერია.

პირველი საკვანძო მომენტი 29-ე წუთით თარიღდება: კარიდან 30 მეტრში რომაელებმა ოლეგ გუსევი წააქციეს, გორან გავრანჩიჩის დიდებულმა დარტყმამ კი მიზანს უწია.

მეორე და მესამე საკვანძო მომენტი კი თავში ნახსენები გაძევება და შუბლის გახეთქვა გახლდათ.

ირაკლი ნინიძე

ლევერკუზენი	1	1	0	0	3:0	3
დინამო	0	0	0	0	0:0	0
რომა	0	0	0	0	0:0	0
რეალი	1	0	0	1	0:3	0

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

მატჩის შემდეგ

ლევერკუზენი — რეალი

გათელილები

მადრიდის „რეალის“ განადგურებამ რა თქმა უნდა, მედიაც გააკვირვა. რა ხდება? რა დაემართა „ელ გალაქტიკოს“? მოკლედ, ესპანურ პრესას გავეცნოთ, რას წერენ და აქვე გერმანული „კიკერიც“ მიმოვიხილოთ

„ასი“: *„მარცხი, რომელმაც მიწასთან გაგვასწორა“*

„რეალმა“ 15 სექტემბერს არა მარტო მატჩი წააგო, არამედ დაამტკიცა, რომ ხოსე ანტონიო კამაჩოსა და მის შეგირდებს შორის სრული გაუგებრობა სუფევს. გამოდის, „ბერნაბეუზე“ კამაჩოს მოსვლით არაფერი შეცვლილა, რაც თავისთავად ძალიან სამწუხაროა“.

„მარკა“: *„მადრიდმა გერმანელებს თავის ღირსების გათელვის უფლება მისცა“*

„რეალმა“ გერმანიაში უმწეო შთაბეჭდილება დატოვა. ისინი „ლევერკუზენთან“ უფრო კარიკატურას ჰგავდნენ, ვიდრე გალაქტიკურ კლუბს“.

„სპორტი“: *„ბაიერმა“ „რეალს“ ცივი შხაპი მიალებინა“*

„რეალის“ კარის გოლებით ამოვსებაზე უარესი კასტილიელთა მოურჩენელი პრობლემებია. მადრიდელთა კრიზისი წინა სეზონის დასასრულს დაიწყო და დღესაც გრძელდება. კამაჩოს მოსვლით არაფერი შეცვლილა“.

„ელ მუნდო დეპორტივო“: *„გათელილები“*

„გერმანული კრახი? არა, ზიდანი, რაული, ფიგუ და ძმანი მისნი დაბერდნენ, „ლევერკუზენმა ისინი გადათელა“.

აქ წამყვანი გაზეთების მიერ დაბეჭდილი სათაურები და ციტატები მოვიყვანეთ, თუმც „სამეფო კლუბს“ არც სხვებმა დააკლეს რამე: „ბაიერმა“ მადრიდი გააცამტვერა“, „ბაიერმა“ მადრიდზე იცეკვა“, „ბაიერმა“ „რეალი“ უმოწყალოდ დაახრჩო“.

ახლა გერმანულზეც გადავერთოთ, ბუნდესნაკრების მწვრთნელი იურგენ კლინსმანი „კიკერის“ ფურცლებიდან ხოტბას ასხამს აუგენტალერსა და მის გმირებს.

„ყელი გამიშრა, ასეთი ტემპით და ლამაზად მოთამაშე გერმანული გუნდი დიდი ხანია, არ მინახავს. ლევერკუზენელებმა ყოველმხრივ დაჩაგრეს მეტოქე და იმდენად თვალსაჩინო მატჩი გამოდგა, რომ წყლის დასალევადაც კი ვერ მოვიცალე“ — თქვა კლინსმანმა.

კლაუს აუგენტალერი: „საამმატჩოდ ორი კვირა ვემზადებოდით. „რეალის“ ავანჩავანი დაწვრილებით შევისწავლეთ და ვფიქრობ, მადრიდელთა ყველაზე დიდი ნაკლი... ჭარბვარსკვლავიანობაა“.

ამ შეხვედრას ტელეკომპანია „შეტრინი“ გადასცემდა, რომლის ოპერატორებმაც ბალღივით მოხტუნავე მასა ანუ რაინერ კალმუნდი რამდენჯერმე აჩვენეს. ასეთი ბედნიერი დიდი ხანია, არ ყოფილა, ამხელა კაცის ხტუნაობა საკვირველი რამ იყოო, წერს ბოლოს „კიკერის“ მიმომხილველი.

რომა — დინამო

მფრინავი ობიექტი უცნობია

გარჩევის დღე — ნაცნობი

რომაული მატჩის ბედი მომავალ სამშაბათს, 21 სექტემბერს გაირკვევა. უეფას სადისციპლინო კომიტეტი მსაჯებისა და მატჩის დელეგატის მოხსენებებს გაეცნობა და განაჩენს ამის შემდეგ გამოიტანს. კიეველები ითხოვენ: 3:0 მოგება ჩაუთვალონ

REUTERS რომიდან

შვედ ანდერს ფრისკს „სტადიო ოლიმპიკოზე“ რა გაარტყეს, ჯერაც უცნობია

„დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა თქვა: „მსგავსი რამ არასოდეს მინახავს. უეფა, რა თქმა უნდა, გაარჩევს მომხდარს. თუ საჭირო იქნება, კვლავ ვითამაშებთ, მაგრამ პირველ ტაიმში „დინამომ“ დაამტკიცა, რომ გადათამაშებას არ იმსახურებს. მეტოქე შესვენების შემდეგ კაცნაკლული იქნებოდა, თან ჩვენ მეტი მოტივაცია გვქონდა. ასეთ შემთხვევებში წესები ორ რამეს ითვალისწინებს — „რომას“ ან ტექნიკური წაგება უნდა ჩაეთვალოს ან ნეიტრალურ მოედანზე ვითამაშოთ. ჩემი აზრით, გადათამაშება დიდი უსამართლობა იქნება“.

„დინამოს“ მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი: „პირველ ტაიმში „რომას“ აშკარად ვაჯობეთ. უეფელებმა ყველა გარემოება უნდა გაითვალისწინონ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ. იტალიელები ემოციური ხალხია და როცა საქმე ფეხბურთს ეხება, აგრესიულები ხდებიან. მატჩის დროს ყველანაირად ვცდილობდი, ჩემი თანაგუნდელები პროვოკაციას არ აჰყოლოდნენ. გასახდელისკენ მიმავალი ბიჭები დავაჩქარე, რომ მეტოქე ფეხბურთელებთან არ წაკინკლავებულიყვნენ“.

მარის ვერპაკოვსკისი: „რომაელთა უხეშობა და გაღიზიანება მათმა ცუდმა თამაშმა გამოიწვია. მცველებმა ტოტი და მონტელა საიმედოდ „ამოკეტეს“. მასპინძლებს თამაში არ წაუგიათ და ბინძურ მეთოდებზე გადავიდნენ. შესაძლოა, გადათამაშება მოგვიწიოს და, დარწმუნებული ვარ, „რომას“ კვლავ ვაჯობებთ. ეს მატჩი რომ გაგრძელებულიყო, აუცილებლად მოვიგებდით“.

ერთი ვერსიით, შვედ მსაჯ ანდერს ფრისკს სანთებელა დაჯახეს და სისხლი წასკდა. ფრისკს ჭრილობაზე ოთხი ნაკერი დაადეს. მატჩის გაგრძელება მეოთხე, სათადარიგო მსაჯს შეეძლო, მაგრამ თავად ფრისკი და უეფას ინსპექტორი ვითარების გამწვავებას მოერიდნენ და შეხვედრა ამიტომ შეწყვიტეს.

„რომას“ სპორტული დირექტორი ფრანკო ბალდინი გაცოფებული იყო: „მოვითხოვ, დაუყოვნებლივ გაარკვიონ და დაიჭირონ ის ნაძირალა, რომელმაც მონეტა ისროლა. იპოვონ, მომიყვანონ, რომ თვალებში ჩავხედო. დამნაშავე მთელ რომს უნდა ანახონ და მან პასუხი უნდა აგოს. მსგავსი რამ უკვე მეორედ მოხდა ჩვენს სტადიონზე და ვშიშობ, ძალიან მკაცრად დაგვსჯიან“.

რუდი ფიოლერი: „რა ვთქვა? ახლა ტურის მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ, მაგრამ ასეთ ვითარებაში ეს ძალიან ძნელია. შეიძლება, წაგო ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში, მაგრამ მატჩის ასე დასრულება საშინელებაა. მე არ მინახავს, რა დააშავა მექსეშმა, თუმც ხვალ აუცილებლად დაველაპარაკები“.

აღსანიშნავია, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ 2002 წლის მარტშიც დიდი არეულობა მოხდა. „რომა“ — „გალათასარაის“ შეხვედრისას სტუმარმასპინძელმა ფეხბურთელებმა ერთმანეთს დასცხეს, ქომაგებმა კი ტრიბუნებიდან თურქებს „ცეცხლი გაუხსნეს“. ამის გამო „ოლიმპიკოს“ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. საინტერესო ისაა, რომ „რომა“— „გალათასარაის“ მატჩსაც ანდერს ფრისკი სჯიდა.

რა მოხდა თავში ფრისკს? სანთებელა ან მონეტა, რომელიც სტადიონის ყველაზე ძვირადღირებული სექტორიდან ისროლეს. ამ სექტორში ბილეთი 70 ევრო ღირს.

ვაჟა ხუციშვილი

REUTERS რომიდან

ფრანჩესკო ტოტი ანდერს ფრისკს: აზრზე მოდი ბიჭო!

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

C ჯგუფი

REUTERS ამსტერდამიდან

პაველ ნედვედი ერთხელაც ისე მოჩეხეს, რომ მოედნიდან გასაყვანი შეიქნა

ჩვენი კარგი და მასზე უფრო კარგი

აიაქსი 0:1 იუვენტუსი

0:1 ნედვედი (42)

აიაქსი: სტეკელენბურგი, გრიგერა (ესკუდე 76), ნ. დე იონგი, ჰეიტინგა, მაქსველი, პიენაარი, ობოდაი (ანასტასიუ 72), სნეიდერი (დე მული 67), ვან დერ ვაარტი, მიტია, სონკი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (პესოტო 65), ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ბლაზი, ემერსონი, ნედვედი (ოლივერა 65), დელ პიერო (აპია 77), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ნედვედი, ობოდაი, სნეიდერი, პიენაარი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

50 000 მაყურებელი

„იუვენტუსმა“ „ამსტერდამ არენაზე“ იმარჯვა. როგორც მეორე დილის გაზეთები წერდნენ ეს პაველ ნედვედის ინდივიდუალური გაბრწყინების წყალობით მოხდა. და ბარემ აქვე გავუსწროთ მოვლენებს — მეორე ტაიმში ჩეხი ვარსკვლავი ამსტერდამელმა სნეიდერმა ისე მოცელა, რომ რამდენიმე წუთში ერთი ანტონი ობოდაიმაც დაამატა, რომ მოედნის კოჭლობით დატოვება მოუხდა. ეს იყო მეტოქესთან ზურგსუკნიდან მივარდნა, რის გამოც სნეიდერმა ყვითელი ბარათი მიიღო, თუმც ნედვედის მოედნიდან გასვლამ ჰოლანდიელებს პრაქტიკული თვალსაზრისით ვერაფერი მოუტანა.

ახლა კი ნაქები გოლი აღვწეროთ: თავიდან ალესანდრო დელ პიერომ ბურთი მასპინძელთა საჯარიმოში მაურო კამორანეზის მიაწოდა, მაგრამ კამორანეზიმ დაინახა, რომ კარისკენ ყველა გზა გადახერგილი ჰქონდა და ნედვედი მოძებნა, რომელმაც ძალიან რაციონალურად და ტექნიკურად დაუმიზნა „აიაქსის“ კარის მარცხენა მაღალ კუთხეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „იუვეს“ თავკაცი, ფაბიო კაპელო, ამ შეხვედრაში ზლატან იბრაჰიმოვიჩის მთელი 90 წუთით გამოყვანას არ მოერიდა. შეგახსენებთ, რომ შვედი ფორვარდი სულ რაღაც ორი-სამი კვირის წინ თავად გახლდათ „აიაქსის“ ფეხბურთელი და ბედმა ლიგის პირველსავე დღეს თავის ყოფილ სახლს დააპირისპირა. საამისოდ კაპელომ ფრანგი დავიდ ტრეზეგე დასვა სათადარიგოთა სკამზე.

მეორე ტაიმში, ჩამორჩენილმა „აიაქსმა“ ტემპი ასწია და სტუმრების კარს მეტი აგრესიით შეუტია, რამაც კინაღამ მოუტანა კიდეც შედეგი — დაახლოებით 15 წუთიან მონაკვეთში სნეიდერი, ნიკოლა მიტია და რაფაელ ვან დერ ვაარტი სახიფათოდ მიუხტნენ „იუვენტუსის“ კარს, მაგრამ ბურთმა დიდებულად მოთამაშე მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის კარში შევარდნა მაინც არ ისურვა.

„აიაქსის“ მწვრთნელი რონალდ კუმანი: „საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ „იუვენტუსის“ დონის მეტოქესთან შედეგის მიღწევას კიდევ უფრო კარგი თამაში სჭირდება. ტურინელები აშკარად გვჯობდნენ გამოცდილებით და მატჩის შედეგიც სწორედ ამ გამოცდილებამ განაპირობა. ცუდად არც დაცვაში გვითამაშია. მხოლოდ სამჯერ მოვადუნეთ ყურადღება და ეს შეხვედრის გადამწყვეტ გოლად დაგვიჯდა. ოდნავ მეტი იღბლით იქნებ მოგვეგო კიდეც“.

ფაბიო კაპელო, „იუვენტუსის“ მწვრთნელი: „შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. „აიაქსისგან“ ასეთ თამაშს არ ველოდი, მაგრამ ჩვენ, საბედნიეროდ ძალიან კონცენტრირებულნი დავხვდით. გამარჯვება მეკარე ბუფონმა გამოგვიჭედა, ხოლო კითხვაზე, თუ რატომ ვათამაშე ზლატან იბრაჰიმოვიჩი და არა დავიდ ტრეზეგე, ასე ვუპასუხებ — ერთი იმიტომ, რომ ჩემს მიერ შემუშავებული სისტემა ითხოვდა ამას და მეორეც იმიტომ, რომ იბრაჰიმოვიჩი ამსტერდამელ მცველებს ტრეზეგეზე უკეთ იცნობს. მეგონა, ეს ჩვენი უპირატესობა იქნებოდა, მაგრამ მან ამით სარგებლობა ვერ შეძლო“.

REUTERS ამსტერდამიდან

ზლატან იბრაჰიმოვიჩისთვის „აიაქსის“ დაცვა უცხო არ იყო

მაკაბი 0:1 ბაიერნი

0:1 მაკაი (64ჯ)

მაკაბი: შტრაუბერი, პანცილი, ჯოვანინი, სტროოლი, ნაგარი, რეისი (დეგო 83), მიშაელოფი (ზიტონი 61), ტ. კოენი, მუსიკა, ლ. კოენი (მბამბა 72), ი. ადო

მწვრთნელი: ნირ კლინგერი

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ლუსიო, ლინკე, რაუ, ფრინგსი, ჰარგრივსი (გიორლიცი 83), დაისლერი (შვაინსტაიგერი 46), ბალაკი (რობერტ კოვაჩი 90), ზე რობერტო, მაკაი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ლუსიო, პანცილი, ზიტონი

მსაჯი: სტივენ ბენეტი (ინგლისი)

22 000 მაყურებელი

ბაიერნის სამში ერთი

თელ ავივში მიუნხენის „ბაიერნმა“ „მაკაბის“ როი მაკაის დარტყმული პენალტით ავჯობა. ეს 64-ე წუთზე იყო, როდესაც მაკაის დარტყმული და „მაკაბის“ მეკარე ლირან შტრაუბერი სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ. საბოლოოდ კი „ბაიერნმა“ შეძლო ის, რაც ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ვერ მოეხერხებინა — ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად გაიმარჯვა.

„მაკაბი“ შეჯიბრების ჯგუფურ ნაწილში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ბერძნული პაოკ-ის ძლევით მოხვდა და როგორც ჩანს, იმ ბოლო შეხვედრაში ისე კარგად ითამაშა, რომ მწვრთნელმა ნირ კლინგერმა „ბაიერნთანაც“ ფაქტობრივად, ივივე შემადგენლობა ათამაშა. ერთადერთი გამონაკლისი ახალშეძენილი მარცხენა მცველი იეშუა ნაგარი გახლდათ.

„ბაიერნის“ ახალმა მწვრთნელმა, ფელიქს მაგათმა კი უამრავი დაშავებულის სიას რომ ჩახედა, წინ მხოლოდ როი მაკაის დასაქმება ამჯობინა. ხუთკაციან ნახევარდაცვაში იყვნენ სებასტიან დაისლერი და ოუენ ჰარგრივსი, რომლებიც ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ტურში შეცვლაზე შევიდნენ.

პირველ ტაიმში პოზიციური უპირატესობა „ბაიერნისა“ იყო, მაგრამ მწვავე, დიდი არაფერი მომხდარა. მეორეში კი მოედანზე მეტი სიცოცხლე შეიმჩნეოდა: პენალტზე ვთქვით და 73-ე წუთზე ლუსიოს მეორე გოლის გატანაც შეეძლო. იყო მომენტი სტუმრების კართანაც, როდესაც ერეს მესიკამ კინაღამ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ დარტყმა ოლივერ კანმა აუღო.

ფელიქს მაგათი, „ბაიერნის“ მწვრთნელი: „მაკაბიმ“ გაგვაოცა, თუმცა პირველ ტაიმში საკუთარ ფეხბურთელებთან გამიჩნდა პრეტენზია. შესვენების შემდეგ ბასტიან შვაინსტაიგერმა გამოასწორა მდგომარეობა და მოგვაგებინა. დარწმუნებული ვარ, რომ შინ „მაკაბი“ „იუვენტუსსაც“ დააკარგვინებს ქულებს და „აიაქსსაც“.

ნირ კლინგერი, „მაკაბის“ მწვრთნელი: „სიტყვები არ მყოფნის იმის აღსაწერად, თუ როგორ დამწყდა გული. ჯარიმა, რომლის გამოც ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა, არატიპიური იყო, მან ყველაფერი აგვირია. მგონი, მეტოქეს ზედმეტი მორიდებით ვეთამაშეთ. ვგრძნობ, რომ აშკარად მეტი შეგვეძლო“.

პაპუნა კედია

ბაიერნი	1	1	0	0	1:0	3
იუვენტუსი	1	1	0	0	1:0	3
აიაქსი	1	0	0	1	0:1	0
მაკაბი	1	0	0	1	0:1	0



REUTERS თელ ავივიდან

გერმანელებმა ებრაელები მარწუხებში მოაქციეს

ფრთხილად, ბრაზდები!

დაცვას მიხედე, პოლოჩინი, დაცვას!

ბრაზილიელმა კაკამ „შახტართან“ ვერ გაიბრწყინა

მილანურ ამბებზე ლაპარაკი ამით დავიწყოთ, რომ დონეცკიდან შინ დაბრუნებულ კარლო ანჩელოტის საყვედური დაახვედრეს, „შახტართან“ მხოლოდ ბედის წყალობით გაიმარჯვეთო — საუბარი ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშების პირველ მატჩზეა, რომელიც „შავ-წითლებმა“ უკრაინაში 1:0 მოიგეს.

„ბედი ყოველთვის მნიშვნელოვანი ფიქტორია — უპასუხა ანჩელოტიმ კრიტიკოსებს — თუმცა ვერავინ იტყვის, რომ სერია A-ს პირველ შეხვედრაში, „ლივორნოსთან“ შინ 2:2 ასევე ბედის წყალობით დავამთავრეთ. შესაძლოა, ჩვეულებისამებრ კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ევროპულ შეჯიბრებებში გვაქვს ხოლმე ამ ყაიდის მატჩები და ეს უფრო იმ გუნდების წინააღმდეგ ხდება, რომლებიც იმ მომენტში ფიზიკურად ჩვენზე უკეთ მომზადებულნი“.

და კიდევ ერთი თემა, რომელსაც ტაქტიკოსი შეეხო, ბრაზილიელი კაკას ფორმა და თამაშის ხარისხი გახლდათ.

„ვგონებ, კაკა ჩინებულად თამაშობს — დაიცვა თავისი მოთამაშე ანჩელოტიმ — შესაძლოა, მთლად ხეირიანად ვერ აჰყვა გუნდს სისწრაფეში, მაგრამ მხოლოდ ამის გამო აყალმაყალის ატეხა არ უნდა ღირდეს, თორემ შეიძლება გამაბრაზოთ კიდეც“.

მაგრამ, სანამ მწვრთნელი ყოყმანობს და ჯერ ვერ გადაუწყვეტია გაბრაზდეს თუ არა, კაკა თავად ესაუბრა ამ თემაზე ჟურნალისტებს.

„ვიცი, ამჯერად ამაზე საუბარს ვერ გავექცევი, ჩემი თამაში კვირის თემად იქცევა, მაგრამ მომავალში, ვფიქრობ მართლა მოვუმატებ სისწრაფეს. საერთოდ, ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ ხოლმე, აქ მთავარი ის არის, რომ მიზანი მაქვს გამოკვეთილი, მინდა სულ უკეთ და უკეთ ვითამაშო, უფრო და უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელი გავხდე. თუ გახსოვთ, გასულ სეზონში მეხუთე ტურიდან ავთამაშდი კარგად, მანამდე კი სანამ „ინტერთან“ დერბიში არ გამოვიჩინე თავი, დიდს ვერაფერს ვაკეთებდი. მოკლედ, მთავარია გუნდმა მოიგოს, მე კი ჩემი წილი გოლების გატანას ადრე თუ გვიან დავიწყებ, თანაგუნდელები და მწვრთნელი მხარში მიდგანან“.

ხოლო, უშუალოდ „შახტართან“ მატჩზე ბრაზილიელმა ასე თქვა: „ძნელი თამაში იყო, თუმც გავიმარჯვეთ და ეს არის მთავარი. შეჯიბრების სამი ქულით დაწყება დიდებული გრძნობაა“.

და კიდევ ერთი, „მილანში“ მატებაა — „შავ-წითლებს“ ფაბრიციო კოლოჩინი შეემატათ. შეგახსენებთ, რომ კოლოჩინი არგენტინელი ცენტრალური მცველია, რომელმაც აგვისტოში ოლიმპიური ოქრო მოიგო.

კოლოჩინი „მილანმა“ ფაქტობრივად, ჯერ კიდევ 2000 წელს იყიდა „ბოკა ხუნიორსისგან“, მაგრამ მას შემდეგ აგერ უკვე ოთხი წელია ხან „სან ლორენსოში“ გააქირავა, ხან „ალავესში“, მადრიდის „ატლეტიკოსა“ თუ „ვილიარეალში“. ეჭვობდნენ, რომ 22 წლის მოთამაშეს „მილანი“ კვლავ გააქირავებდა, მაგრამ ბევრის გასაკვირად, ასე არ მოიქცნენ და „სან სიროზე“ დაიბარეს.

საინტერესო კია კაფუს, ალესანდრო ნესტას, იაპ სტამის, პაოლო მალდინის, ჯუზეპე პანკაროს და კახა კალაძის პატრონებს კოლოჩინის ჩასმა ან დასმა სადღა აქვთ ნავარაუდევი.

პაპუნა კედია

ფაბრიციო კოლოჩინი

ბიანკიმ არგენტინაში დასვენებას პრეტენზია

გრონდონა პეკერმანს ემუქრება

არგენტინის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატმა კარლოს ბიანკიმ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას უარი სტკიცა, დასვენება მჭირდებაო. ბიანკის უარის შემდეგ გრონდონა ხოსე პეკერმანს მიადგა. „შევეცდები, მწვრთნელობაზე დავითანხმო, ყველამ კარგად იცის, რომ იგი წარმატებული კაცია“.

პეკერმანის ძმა პაბლომ ამის მერე რადიო „მიტრეს“ განუცხადა, ვფიქრობ, ჩემი ძმა დათანხმდებაო.

ხოსე პეკერმანი არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი იყო და მსოფლიოს სამი (1995, 1997, 2001) ჩემპიონატი მოუგია. მას ეროვნული გუნდის მწვრთნელობა 1998 წელსაც შესთავაზეს და 2002-შიც, როცა მარსელო ბიელსას შემცვლელად ამზადებდნენ, მაგრამ პეკერმანმა მაშინ არ ინება.

ხოსე პეკერმანი

ვაჟა ხუციშვილი

ჰიუზი ცოტა ხნით ფიგარო გახდება

მე და ჩემი „ბლექბერნი“ — მარ ჰიუზი

ინგლისურმა „ბლექბერნმა“ გრემ სუნესის შემცვლელი იპოვა: უელსის ნაკრების თავკაცი მარკ ჰიუზი გუშინ „ივუდ პარკზე“ გუნდის ახალ მწვრთნელად წარადგინეს. 40 წლის ჰიუზი უელსელებს კიდევ ორ მატჩში უხელმძღვანელებს და მერე მიხედავს კლუბს. მისმა აგენტმა დენის რუჩმა თქვა: „ძალიან სასიამოვნოა, რომ მომდევნო ორ მატჩში ნაკრებს ჰიუზი გაუძღვება. მან თავად ისურვა ასე, რადგან ეროვნული გუნდიდან კარგი შედეგით უნდა წასვლა“. უელსი 9 ოქტომბერს ინგლისს, ოთხი დღის მერე კი პოლონეთს შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ მარკ ჰიუზს ფეხბურთელობისას „ბლექბერნში“ ორი წელი აქვს გატარებული და მაშინ გუნდს სწორედ ის გრემ სუნესი წვრთნიდა, რომელიც ახლა თავად შეცვალა.

ვაჟა ხუციშვილი

რუდი როდი მოუთმენს



რუდი ფიოლერს ანტონიო კასანოს შარიანობა ყელში ამოუვიდა

კასანო, კასანომ, კასანოს... აბრუნებს და აბრუნებს იტალიური და ევროპული პრესა „რომას“ თავდამსხმელის, ანტონიო კასანოს გვარს მას მერე, რაც კვირას სერია A-ს პირველ ტურში, „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში იგი მოედნიდან გააძევეს. ახალი ცნობა თავდამსხმელის შესახებ ის არის, რომ კიევის „დინამოსთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის დღეს კლუბმა იგი შინ გაუშვა, მაინც არ თამაშობ და გუნდთან რად უნდა იყოო. ამბობენ, რომ ეს იმ ავბედითი შეხვედრის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე მოხდა და იმასაც ამბობენ, რომ ამას წინ, ვარჯიშის დროს, კასანოსა და „რომას“ ახალი მწვრთნელის, რუდი ფიოლერის ურთიერთყვირილი უძღოდა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში 21 წლის ვარსკვლავმა მეტოქე გუნდის მცველს სახეში ხელი ჰკრა და მოგახსენებთ კიდევ იმას, რომ თურმე წინა კვირაში ანუ „ფიორენტინასთან“ თამაშამდე, მას „რომას“ მწვრთნელთა საბჭოს ერთ-ერთ წევრთანაც მოსვლია უსიამოვნება. ერთი სიტყვით, ბიჭი შარზეა!

რით დასრულდა კასანოს ქცევის თუ სხვა რამე მიზეზის გამო განერვიულებული რომაელების მატჩი კიეველებთან, ცნობილია.

პაპუნა კედია

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური						
		18 სექტემბერი						
15.45	017	არსენალი-ბოლტონი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
18.00	018	ბირმინგემი-ჩარლტონი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.00	019	ბლექბერნი-პორტსმუთი	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
18.00	020	კრისტალ პალასი-სიტი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.00	021	ნორვიჩი-ასტონ ვილა	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
18.00	022	ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
		19 სექტემბერი						
17.00	023	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.00	024	ევერტონი-მიდლსბრო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.05	025	ჩელსი-ტოტენჰემი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
		20 სექტემბერი						
23.00	026	მანჩესტერი-ლივერპული	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
		ინგლისი. ჩემპიონატი. IX ტური						
		18 სექტემბერი						
18.00	113	ბრაიტონი-ქპრ	2,35	3,1	2,8	1,33	1,27	1,47
18.00	114	კარდიფი-დერბი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
18.00	115	ქოვენთრი-როტერჰემი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
18.00	116	ქრიუ-ლიდსი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
18.00	117	ლესტერი-ბარნლი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	118	პლიმუთი-ვულვერჰემპტონი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
18.00	119	რედინგი-ჯილინგემი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
18.00	120	სტოკი-ნოტინგემი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	121	სანდერლენდი-პრესტონი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	122	ვესტ ჰემი-იფსვიჩი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
18.00	123	უიგანი-შეფილდი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		19 სექტემბერი						
18.00	124	მილუოლი-უოტფორდი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
		ინგლისი. I ლიგა. IX ტური						
		18 სექტემბერი						
16.00	128	ტრანმერი-რექსემი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
18.00	129	ბლეკპული-სუინდონი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
18.00	130	ბრედფორდი-ბრისტოლი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	131	ბრენტფორდი-პორტ ვეილი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	132	ჩესტერფილდი-უოლსოლი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
18.00	133	კოლჩესტერი-დონსი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
18.00	134	დონკასტერი-ოლდემი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
18.00	135	ჰარტლპული-ტორკი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
18.00	136	ჰადერსფილდი-ბარნსლი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	137	პიტერბრო-ჰალი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
18.00	138	უენსდი-ბორნმუთი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
18.00	139	სტოკპორტი-ლუტონი	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
		ინგლისი. II ლიგა. IX ტური						
		18 სექტემბერი						
18.00	141	ბოსტონი-შრიუსბერი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	142	როვერსი-ლინკოლნი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
18.00	143	ბერი-სკანთორპი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	144	ჩესტერი-კემბრიჯი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	145	დარლინგტონი-ნორთჰემპტონი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	146	გრიმსბი-ლეიტონი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	147	კიდერმინსტერი-მაკლსფილდი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
18.00	148	მენსფილდი-როჩდეილი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
18.00	149	ნოტსი-საუთენდი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	150	რაშდენი-ჩელტენემი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	151	უიკომბი-სუონსი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	152	იოვილი-ოქსფორდი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
